დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109251773**

თარიღი:**26/06/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' 3-ე მუხლის მე-7 პუნქტის თ) ქვეპუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 24 ივნისის №108-1082517535 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, თანდართული ცხრილით წარმოდგენილი მოიჯარეების მიერ, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხელოს 6757.05 (ექვსიათასშვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 0,5 თეთრი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

N	გვარი, სახელი	საიჯარო ხელშეკ. N თარიღი	დანიშნულება	მოქმედების ვადა	გადახდილი საიჯარო ქირა	გადასახდელი საიჯარო ქირა	დარიცხული პირგასამტეხლო	შენიშვნა
1	ლამარა დაუთაშვილი	N2 28.05.2015წ	სას.სამ.დანიშ.მიწა (საძოვარი)	5	3080		614.1	გარდაიცვალა
2	ლამარა დაუთაშვილი	N16 19.06.2015წ	სას.სამ.დანიშ.მიწა (საძოვარი)	5		3218.93	2534.6	გარდაიცვალა
3	გივი ტატიშვილი	N9 21.03.2016წ	ააიპ დმანისის სამუსიკო სკოლის სარეპეტიციო დრბაზი	3		1569	347.5	გარდაიცვალა
4	ოქტაი მაგარამოვი	N45 23.12.2016წ	სას.სამ.დანიშ.მიწა (საძოვარი)	4	5124	0	159.4	
5	შპს პანტიანი ჰოსპიტალიტი, დირექტორი კაიზერ ჰელმანი	N1 25.05.2016წ	არასასოფლო-სამეურნეო	49	0	5.51	15.3	არ იმყოფება საქართველოში
6	ელბრუს მურსაგულოვი	N54 22.04.2021წ	სას.სამ.დანიშ.მიწა (სათიბი)	5	4465	0	1436.15	
7	ელბრუს მურსაგულოვი	N53 22.04.2021წ	სას.სამ.დანიშ.მიწა (საძოვარი)	5	894	0	1650	
	სულ:				13563	4793.44	6757.05	